საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის

დადგენილება №7/2026
2026 წლის 16 იანვარი

ქ. თბილისი

„არასაარჩევნო პერიოდში დამკვირვებელ ორგანიზაციათა დამკვირვებლების რეგისტრაციის წესის განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2024 წლის 18 მარტის №5/2024 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 92-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის საფუძველზე, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1

„არასაარჩევნო პერიოდში დამკვირვებელ ორგანიზაციათა დამკვირვებლების რეგისტრაციის წესის განსაზღვრის თაობაზე” საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2024 წლის 18 მარტის №5/2024 დადგენილებით (სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“, ვებგვერდი – www.matsne.gov.ge, 19/03/2024, 010190020.15.008.016719) განსაზღვრული არასაარჩევნო პერიოდში დამკვირვებელ ორგანიზაციათა დამკვირვებლების რეგისტრაციის წესის **მე-3 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1. ამ დადგენილებით განსაზღვრულმა ადგილობრივმა დამკვირვებელმა ორგანიზაციამ დამკვირვებლების წარდგენის შესახებ განცხადებით უნდა მიმართოს შესაბამისი საარჩევნო კომისიის მდივანს. განცხადებას ხელს უნდა აწერდეს ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის ხელმძღვანელი პირი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი, რასაც ცესკოს აპარატის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული ამოწმებს საარჩევნო კოდექსის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ მონაცემთა ბაზაში. განცხადებას თან უნდა ერთოდეს ცესკოსა და საოლქო საარჩევნო კომისიებში წარდგენილი დანიშნული დამკვირვებლების სია (გვარის, სახელის, მისამართის (საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ან სააგენტოს მონაცემთა ბაზის მიხედვით), საქართველოს მოქალაქის პირადი ნომრის მითითებით) და თითოეული მათგანის საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ან საქართველოს მოქალაქის პასპორტის ფოტოასლი.

2. ადგილობრივ დამკვირვებელთა რეგისტრაციის შესახებ განცხადება და დამკვირვებლების სია საარჩევნო კომისიას უნდა წარედგინოს ცესკოს განკარგულებით დადგენილი ფორმით და შინაარსით. წარდგენილ სიაში შეყვანილი ადგილობრივი დამკვირვებლები უნდა აკმაყოფილებდნენ საარჩევნო კოდექსის 44-ე მუხლის მე-4 და 49-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს.“.

მუხლი 2

ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე	**გიორგი კალანდარიშვილი**
კომისიის მდივანი	**გიორგი ჯავახიშვილი**